ამონაწერი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 29.06.2018 წლის საკონკურსო კომისიის №1 სხდომის ოქმიდან

1. საკონკურსო კომისიამ, მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული, საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის (შემდგომში - ,,წესი“) მე-19 მუხლის საფუძველზე, ,,წესის“ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს კონკურსისათვის შემდეგი საკონკურსო პროგრამა:

1.1. **მოსამართლის თანაშემწის** - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:
შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
გ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
ე) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ზ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
თ)"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
ი)"საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
კ)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ლ)"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი;
მ)"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
ნ) „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;
ო) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
პ)საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის N466 ბრძანებულებით დამტკიცებული "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულება;
ჟ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილება;
რ)“საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება.
ს),,საქართელოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის N1/56 გადაწყვეტილება.

2.**სხდომის მდივანს** - მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
გ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
ე) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ზ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

თ)"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
ი)"საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
კ)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ლ)"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი;
მ)"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
ნ) „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;
ო) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
პ)საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის N466 ბრძანებულებით დამტკიცებული "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულება;
ჟ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილება;
რ)“საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება.
ს),,საქართელოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის N1/56 გადაწყვეტილება.

3.კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის - მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა;
გ) „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ’’ საქართველოს ორგანული კანონი;
დ) „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ე)„რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულება;
ვ)„საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილება.“.
ზ)“საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება.
თ),,საქართელოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის N1/56 გადაწყვეტილება.
ი)“საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება.

3.კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგინდეს შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;

გ) „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“;
დ) „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“;
ე) ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი’’;
ვ) „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“;
ზ)„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
თ)„რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულება;
ი)„საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის #1/310 გადაწყვეტილება.“.
კ)“საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება.

4.მანდატურის სამსახურის მანდატურის - მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ)"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
გ)"იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი;
დ)"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი;
ე) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი;
ვ)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ზ)"სასამართლოში ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის წესის შესახებ" სასამართლოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 მაისის №25 ბრძანება;
თ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილება.
ი)“საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება.
კომისიის წევრებს გაეცნოთ: გამოცხადებული ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის მიხედვით განსაზღვრული ფუნქციები (ერთვის სხდომის ოქმს), ამასთან კომისიის წევრებს განემარტათ, რომ მართალია ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრულია მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები: სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა სპეციალიზაციების მიხედვით, თუმცა ასეთი დარგობრივი დაყოფა არ ვრცელდება აპარატის თანამშრომლებზე, რის გამოც კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს სამივე სპეციალიზაციისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

2. საკონკურსო კომისიამ, მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, ,,წესის“ მე-19 მუხლის საფუძველზე და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ,,კონკურსის“ ჩატარების შემდეგი პირობები:

2.1. ზოგადი დებულება:

2.1.1.,,კონკურსის“ ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ გადაწყვეტილებით, რეგულირდება ,,წესით“.

2.1.2. საკონკურსო კომისიის სხდომას იწვევს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომისია, ან - კომისიის თავმჯდომარე.

2.2. ,,კონკურსის“ გამოცხადება; შეტყობინების შინაარსი:

2.2.1. ,,კონკურსი“ უნდა გამოცხადდეს სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში - ,,ბიურო“) მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge), აგრეთვე - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ვებგვერდის - http://www.court.ge/courts/zugdidis_raionuli_sasamarTlo/ მეშვეობით.

2.2.2. ,,კონკურსის“ გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ იქნეს შემდეგი მონაცემები:

ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2.2.3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 29 მარტის N52 ბრძანების დანართით განსაზღვრულია ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელ კონკურსებში მონაწილე კანდიდატების მიმართ დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკურსის ორივე ეტაპზე.

2.2.4. ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოხელის სტატუსის არმქონე პირი ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება გამოსაცდელი ვადით, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

2.4.5. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობას;

2.3. საკონკურსო განაცხადის წარდგენა:

2.3.1. ,,კონკურსში“ მონაწილეობისათვის, კანდიდატი განაცხადს წარადგენს ,,კონკურსის“ გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ,,ბიუროს“ მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით. კანდიდატი უფლებამოსილია - განაცხადში ცვლილება შეიტანოს ამ ვადის ამოწურვამდე.

2.3.2. კანდიდატი ვალდებულია - საჯარო დაწესებულებას მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

2.3.3. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და დამატებით:

ა)მოსამართლის თანაშემწის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატმა ასევე დამატებით უნდა ატვირთოს სპეციალობით ან/და შესაბამის სფეროში/დარგში არანაკლებ ორწლიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი და არსებობის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სპეციალური სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად ან სასამართლოში სპეციალობით

მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან/და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი;

ბ)სხდომის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატმა ასევე დამატებით უნდა ატვირთოს იურიდიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის სამუშაო გამოცდილების და არსებობის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სპეციალისტის ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე კანდიტატმა უნდა ატვირთოს იურიდიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (არსებობის შემთხვევაში სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი);

2.3.4.აიტვირთოს ქართულ ენაზე შედგენილი დოკუმენტაცია. უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში, აუცილებელია აიტვირთოს მათი ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანებიც.

2.3.5. საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში, სავალდებულოა - აიტვირთოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების თაობაზე.

2.4. აცილების საკითხები:

2.4.1. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია - ,,კონკურსის" ეტაპების დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს გარემოება, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებაში. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2.4.2. თუ ამგვარი თვითაცილება არ იქნა განცხადებული და მითითებული გარემოების შესახებ ,,კონკურსის" მიმდინარეობისას გახდება ცნობილი, საკონკურსო კომისიის ამ წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე არ იქნება გათვალისწინებული კანდიდატებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

2.5. ,,კონკურსის" ეტაპები:

,,კონკურსი" შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) პირველი ეტაპი - კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) მეორე ეტაპი - კანდიდატის შეფასება;

გ) მესამე ეტაპი - ,,კონკურსის" შედეგების გამოცხადება.

2.6. ,,კონკურსის" პირველი ეტაპი:

2.6.1. საკონკურსო კომისიის სახელით, კომისიის მდივანი ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

ა)საკონკურსო განაცხადების ატვირთვის ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში, დაამუშავებს ატვირთული განაცხადების და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან და საკონკურსო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს შემოწმების შედეგებს;

ბ),,კონკურსის“ მეორე ეტაპამდე 7 სამუშაო დღით ადრე, კანდიდატს ელექტრონულად უგზავნის განაცხადში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

გ) შეტყობინებას მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ; კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, მას გაეგზავნება დასაბუთებული შეტყობინება;

დ) შეტყობინებას ,,კონკურსის“ მეორე ეტაპზე გადასვლის თაობაზე.

2.6.2. კანდიდატს უფლება აქვს - 2.6.1 პუნქტში მითითებული შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს ,,ბიუროს“ განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით. ,,ბიურო“ ვალდებულია - კანდიდატის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შედეგები დაუყოვნებლივ აცნობოს საკონკურსო კომისიასა და კანდიდატს.

2.7. ,,კონკურსის“ მეორე ეტაპი:

2.7.1. ,,კონკურსის“ მეორე ეტაპზე ხდება კანდიდატის შეფასება სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიმართ, რაც ემყარება კანდიდატის სამუშაო გამოცდილებისა და მისი პროფესიული ცოდნის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან და კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენას.

2.7.2. ,,კონკურსის“ მეორე ეტაპზე, კანდიდატები შეფასდებიან შემდეგი წესით:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნის და კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე წარმოდგენილი კანდიდატები შეფასდებიან წერითი და ზეპირი დავალებების მიცემის, აგრეთვე - გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით.

2.8. წერითი დავალების მიცემის წესი:

2.8.1. წერითი დავალების მიცემა გულისხმობს კანდიდატისათვის ჰიპოთეტური ფაქტებით აგებული ამოცანის (შემდგომში - ,,კაზუსი“) ამოსახსნელად გადაცემას სისხლის სამართლის მიმართულებით (სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი). კანდიდატს უფლება აქვს - წერითი დავალების შესრულებისათვის თან იქონიოს და გამოიყენოს ნორმატიული აქტები.

2.8.2. წერითი დავალების ოთახში კანდიდატები შედიან საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული ოდენობით; მათ ეკრძალებათ მობილური ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა-გამოყენება.

2.8.3. ,,კაზუსის“ გადაცემამდე, კომისიის მდივანი კანდიდატს გადასცემს კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით დამოწმებულ საგამოცდო ფურცელს და აუხსნის მისი შევსების წესს. ამის შემდეგ, კომისიის მდივანი კანდიდატს გადასცემს ,,კაზუსს“, რომლის ამოსახსნელად, ,,კაზუსის“ სირთულიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, კანდიდატს განესაზღვრება დრო (არანაკლებ 45 წუთისა). განსაზღვრული დროის ამოწურვამდე ორჯერ - 15 წუთით ადრე და 5 წუთით ადრე - კომისიის მდივანი აფრთხილებს კანდიდატს დარჩენილი დროის შესახებ. განსაზღვრული დროის ამოწურვისთანავე, კანდიდატი კომისიის მდივანს აბარებს საგამოცდო ფურცელს; წინააღმდეგ შემთხვევაში, კანდიდატი ავტომატურად შეფასდება 0 ქულით.

2.8.4. კანდიდატი, წერითი დავალების შესრულების დონის მიხედვით, შეფასდება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ცალ-ცალკე, თითოეულ კრიტერიუმში 0-დან 10-მდე ქულით:

ა) თეორიული ცოდნა;

ბ) თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარი;

დ) გრამატიკულად სწორად წერის უნარი.

2.8.5. საკონკურსო კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი შეფასების ფურცლები გადაეცემა კომისიის მდივანს.

2.9. ზეპირი დავალების მიცემის წესი:

2.9.1. ზეპირი დავალების მიცემა გულისხმობს კანდიდატისთვის შეკითხვების დასმას და მათზე პასუხების მოსმენას, რათა შემოწმდეს კანდიდატის თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

2.9.2. ზეპირი დავალების მიცემა იწყება წერითი დავალების დასრულებისთანავე და ჩატარდება 2.10.2-2.10.3 პუნქტებში განსაზღვრული წესით.

2.9.4. კანდიდატი, ზეპირი დავალების შესრულების დონის მიხედვით, შეფასდება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ცალ-ცალკე, თითოეულ კრიტერიუმში 0-დან 10-მდე ქულით:

ა) თეორიული ცოდნა;

ბ) თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარი;

2.9.5. საკონკურსო კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი შეფასების ფურცლები გადაეცემა კომისიის მდივანს.

2.10. გასაუბრების წესი:

2.10.1. გასაუბრება გულისხმობს კანდიდატისათვის შეკითხვების დასმას და მათზე პასუხების მოსმენას, რათა შემოწმდეს კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევები, ანალიტიკური აზროვნება და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

2.10.2. გასაუბრების ოთახში კანდიდატები შედიან სათითაოდ; მათ ეკრძალებათ ნორმატიული აქტების, მათი კომენტარების ან სხვა ანალოგიური მასალის, მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

2.10.3. გასაუბრების მიმდინარეობის ფიქსაცია ვიდეო და აუდიო-ჩანაწერების განხორციელებით შესაძლებელია მხოლოდ კანდიდატის თანხმობით.

2.10.4. კანდიდატი, გასაუბრების შედეგად, შეფასდება საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ცალ-ცალკე, თითოეულ კრიტერიუმში 0-დან 10-მდე ქულით:

ა) კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევები, მათ შორის - სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;

ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი.

გ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

2.10.5. საკონკურსო კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი შეფასების ფურცლები გადაეცემა კომისიის მდივანს.

2.11. კანდიდატთა შეფასების პრინციპი

ყველა კანდიდატის თანაბარ მდგომარეობაში ჩასაყენებლად, საკონკურსო კომისიის წევრები მათ უსვამენ (ამოსახსნელად გადასცემენ) თანაბარი სირთულის და შეძლებისდაგვარად, ერთგვაროვან შეკითხვებს („კაზუსებს“).

2.12. კანდიდატთა საბოლოო შეფასება:

2.12.1. კონკურსის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით (თითოეულ ეტაპზე მიღებული ქულების ჯამით), მინიმალური ზღვარი შეადგენს 60 ქულაზე მეტს. წერითი დავალების ქულათა მაქსიმალური ჯამია 40, ზეპირი დავალების ქულათა მაქსიმალური ჯამია 30, ხოლო გასაუბრების ჯამი შეადგენს 30 ქულას.

2.12.2. თითოეული კანდიდატის მიმართ არსებულ შეფასების ფურცლებში ასახული შეფასებების გათვალისწინებით, კომისია გამოიანგარიშებს საშუალო არითმეტიკულს, რაც წარმოადგენს კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულას.

2.12.3. „კონკურსში“ გამარჯვებულ, საუკეთესო კანდიდატად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს 2.12.1 პუნქტის მოთხოვნებს და საბოლოო შეფასების ქულა ყველაზე მაღალი აღმოჩნდება.

2.12.3. თუ ორი ან რამდენიმე კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულები აღმოჩნდება იდენტური, საკონკურსო კომისია მათ შორის, დასანინიშნად წარსადგენ კანდიდატს გამოავლენს კენჭისყრის გზით. თუ კენჭისყრის შედეგად კანდიდატებმა მიიღეს თანაბარი ხმები, გადამწყვეტი იქნება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

2.13. „კონკურსის“ შედეგების გამოცხადება:

2.13.1. საკონკურსო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან დასაბუთებულ უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე. აღნიშნული საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საკონკურსო განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

2.13.2. საკონკურსო კომისია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად აპლიკანტის მიერ განაცხადში მითთებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2.13.3. ზუგდიდის რაიონული სასამართლო „კონკურსის“ შედეგების შესახებ ინფორმაციას ასახავს „ბიუროს“ მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის შესაბამის მოდულში.

2.14. „კონკურსის“ საორგანიზაციო საკითხები:

2.14.1. საკონკურსო კომისიის კომუნიკაცია კანდიდატებთან ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული მიმოწერის გზით, კომისიის მდივნის მეშვეობით.

2.14.2. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს წინამდებარე ოქმის გამოქვეყნებას ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო კომისიამ, მოისმინა კომისიის თავმჯდომარის ლანა ბერიშვილის მოხსენება, ,,წესის“ მე-19 მუხლის საფუძველზე და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ,,კონკურსში“ მონაწილე კანდიდატების შეფასების შემდეგი ფორმები:

ფორმა №1: გასაუბრებაზე გამოცხადებულ კანდიდატთა რეგისტრაციის ბარათი

გასაუბრებაზე გამოცხადებულ კანდიდატთა

რეგისტრაციის ბარათი

№	კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	ინფორმაცია კანდიდატის გამოცხადების თაობაზე

ფორმა №2. წერითი დავალების შესრულების შეფასების ფურცელი:

კანდიდატის მიერ წერითი დავალების შესრულების

შეფასების ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრი:

ხელმოწერა:

კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	თეორიული ცოდნის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	გრამატიკულად სწორად წერის უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)

ფორმა №3. გასაუბრების შეფასების ფურცელი:

კანდიდატის მიერ გასაუბრების გავლის

შეფასების ფურცელი

საკონკურსო კომისიის წევრი:

ხელმოწერა:

კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	ზოგადი უნარ-ჩვევების (დაგეგმვა, ორგანიზება, დროის მართვა, გუნდურობა, სტრესულ გარემოში მუშაობის უნარის) შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	ანალიტიკური აზროვნების უნარი (0-დან 10 ქულამდე)	კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)

ფორმა №4: ზეპირი დავალების შეფასების ფურცელი:

კანდიდატის მიერ ზეპირი დავალების შესრულების

შეფასების ფურცელი:

საკონკურსო კომისიის წევრი:

ხელმოწერა:

კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	თეორიული ცოდნის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)